18/06/2026

MES 1 26 0000754949

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04.06.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:12
სხდომის დამთავრების დრო: 16:16
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე (**I, II, III, V საკითხი**)
სხდომის თავმჯდომარე: ვასილ გონაშვილი (**IV, VI საკითხი**)
საბჭოს მდივანი: ზურაბ ქავთარია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით 2026 წლის 04 ივნისს.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

სერგო ჭელიძე - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
ვასილ გონაშვილი - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ზურაბ ქავთარია - ა(ა)იპ- საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე - საბჭოს მდივანი;
ნათია ჯოჯუა - შპს ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
მარიამ ბოჭორიშვილი - ა(ა)იპ - ტად ვიკის დირექტორი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის სკოლის ხელმძღვანელი;
თამარ გამსახურდია - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;
ნინო მინდიაშვილი - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნარგიზ ფალავანდიშვილი - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ- ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

ბაქარ ბერეკაშვილი - შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. **თამთა მოხევიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
3. **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ალტე უნივერსიტეტი

1. **რამაზ კუკულაძე -** უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
2. **ირმა გრძელიძე -** ვიცე - პრეზიდენტი აკადემიურ საქმეთა და კვლევების მიმართულებით;
3. **ნინო ალავიძე** - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

1. **მამუკა თავხელიძე** - რექტორი;
2. **ამირან მესხიშვილი** - რექტორის მოადგილე რეგიონულ საკითხებში, ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი;
3. **მოგელი შენგელია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. **გიგა თვაური** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

1. **ნინო ჯოჯუა -** რექტორის მრჩეველი ხარისხის მიმართულებით;
2. **ანა გვრიტიშვილი -** ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. **მიხეილ ჯანიკაშვილი -** სამეცნიერო დარგში ვიცე - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
2. **ივანე ჯაგოდნიშვილი -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **დავით ხვედელიძე -** სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
4. **თამაზ ურთმელიძე** - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

1. **კახაბერ ლაზარაშვილი** - რექტორი;

2. **დავით ბოსტოღანაშვილი -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **ელენე ზურაბიშვილი** - ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
4. **ლალი ჩაგელიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე;
5. **ქეთევან აფთარაშვილი** - განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტები:
ეკა ლეკაშვილი (თავმჯდომარე) - I საკითხი
ხათუნა საგანელიძე (წევრი) - I საკითხი
მარიამ ბურმისტროვა (წევრი) - I საკითხი
ეკატერინე ფიფია (თავმჯდომარე) - II საკითხი
თამარ გოდერიძე (წევრი) - II საკითხი
მარიამ გორგოძე (წევრი) - II საკითხი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:12 საათზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს I, II, III და V საკითხებთან დაკავშირებით უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ სერგო ჭელიძემ, ხოლო IV და VI საკითხებთან მიმართებით - ვასილ გონაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
3. შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
6. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ შპს ალტე უნივერსიტეტის საკითხთან დაკავშირებით ექსპერტები ვერ ახერხებდნენ საბჭოს სხდომაზე დასწრებას დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს და ითხოვეს საბჭოს საკითხი განეხილა მეორე საკითხად.
საბჭო დაეთანხმა შუამდგომლობას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
6. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა თამარ გამსახურდიამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, მისი განმარტებით, დაწესებულებაში ერთდორულად ჩატარდა ორი სხვადასხვა წარმოება, რომლებიც უკავშირდებოდა რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის შესწავლას და ასევე ავტორიზაციის არაგეგმიურ მონიტორინგს. მისი თქმით, მოცემულ სხდომაზე ის წარადგენს მხოლოდ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის დასკვნას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 18 თებერვალს ბათუმის ფილიალში, ხოლო 20-21 თებერვალს თბილისში. როგორც ექსპერტმა აღნიშნა დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა. ერთერთი რეკომენდაცია ეხებოდა სტრატეგიული პროგრესის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის მხრიდან გარკვეული რეაგირებების განხორციელებას, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება დაადასტურა შესაბამისი მტკიცებულებებით. ექსპერტებმა გამოითხოვეს გარკვეული დოკუმენტები სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული პერიოდისთვის იყო თუ არა მონიტორინგი ჩატარებული მთელ რიგ აქტივობებზე და აღმოჩნდა, რომ მექანიზმი არსებობს, შეფასებას ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც არანაკლებ 5 წევრისგან შედგება. დაგეგმარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრულ ჩართულობასთან და ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა კურსდამთავრებული, სტუდენტი, ადმინისტრაციული თუ მოწვეული პერსონალი არის გათვითცნობიერებული უნივერსიტეტის განვითარების ხედვაში და მონაწილეობენ ამ პროცესში. რაც შეეხება აკადემიურ კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლობის დანიშვნის პროცედურას, ექსპერტმა განმარტა, რომ აკადემიურ კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლების დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით გაუმჯობესებულია კომუნიკაცია და სტუდენტების ინფორმირების ხარისხი, შესაბამისად ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია. შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდებოდა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისას სრულყოფილ მონაცემების დამუშავებას, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა სრულყო სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელსაც დაემატა სტუდენტთა ნაკადების დინამიკის ანალიზზე დაფუძნებული მათემატიკური მოდელი. შემუშავდა და ამოქმედდა „კონტინგენტის პროგნოზირების მატრიცა“, რომელიც ეყრდნობა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო სამი წლის სტატისტიკურ მაჩვენებლებს.კონტინგენტის დაგეგმვის პროცესი ჩამოყალიბდა მრავალსუბიექტიან და კოორდინირებულ მექანიზმად. შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდებოდა უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული სტუდენტებთან დაკავშირებული ყველა სტატისტიკური მონაცემის ანალიზს, აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტმა „საუნივერსიტეტო საქმიანობის კვლევების სტანდარტში“ ასახა სტუდენტური კონტინგენტის სტატისტიკური მონაცემების სისტემური შეგროვებისა და ანალიზის ვალდებულება. აღნიშნული პროცესი მოიცავს მონაცემთა დამუშავებას სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, მათ შორის გენდერული ნიშნით საგანმანათლებლო პროგრამების

ჭრილში და სწავლების ლოკაციის მიხედვით, რაც მისი თქმით უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მედიცინის პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების რევიზიის საკითხს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მედიცინის სკოლამ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით, განახორციელა მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების კომპლექსური რევიზია ავტორიზაციის რეკომენდაციის შესაბამისად. ანალიზის შედეგად იდენტიფიცირდა რამდენიმე სილაბუსი, რომელთა სწავლის შედეგები საჭიროებდა დაზუსტებას. შესაბამისი კორექტირება განხორციელდა ბლუმის ტაქსონომიის პრინციპებზე დაყრდნობით, რის შედეგადაც ფორმულირებები გახდა უფრო მკაფიო, ოპერაციონალიზებული, გაზომვადი და შეფასებადი.
ნორმაზე დაფუძნებული შეფასების სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციის შესახებ, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექპერტთა ჯგუფი იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას, რომ რეკომენდაცია „ნორმაზე დაფუძნებული შეფასების გაუქმების შესახებ“ უნდა შეფასდეს როგორც არსობრივი ტერმინოლოგიური გაუგებრობა, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო ფორმულირების ინტერპრეტაციის თავისებურებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კომპეტენციების შეფასება ხორციელდება მხოლოდ კრიტერიუმებზე დაფუძნებული მოდელით, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. შესაბამისად შეიცვალა სახელფასო პოლიტიკის მიდგომაც და ხდება შესწავლა აქტივობების, პერსონალის იმის მიხედვით თუ რა ხანგძლივობით არის უნივერსიტეტში დასაქმებული, გამოქვეყნებები სად აქვს და საბაზისო ხელფასს აქვს გარკვეული ნამატი და ამით უკვე გარკვეული მოტივაცია იქმნება, რომ დატვირთვის მიღმა სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით აქტიურად იყვნენ ჩართული სამეცნიერო პერსონალი. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა ანგარიშში აღნიშნა, რომ წარმატებული გამოცდილება არის ადაპტაციის პერიოდის ჩანაცვლება საცდელი კრიტერიუმებით, რომელიც რეალურად უნივერსიტეტის მხრიდან ცოტა სხვა კუთხით იქნა განხილული. მათ მიაჩნიათ, რომ პირიქით, ის ადამიანები, რომლებიც გადაწყვეტენ რომ უნივერსიტეტთან ითანამშრომლონ, უნივერსიტეტი ზრუნავს მათ განვითარებაზე და ისინი ორიენტირებულები არიან არა იმაზე რომ თვითონ აკადემიურმა პერსონალმა მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობებით ადაპტაცია უნივერსიტეტთან, არამედ პირიქით, უნივერსიტეტი სრულად არის ჩართული, მობილიზებული იმ საქმეში, რომ მოახდინოს მისი ინტეგრირება სამეცნიერო, აკადემიურ და ადმინისტრაციულ ნაწილში. ასე რომ, ეს ნაწილიც გარკვეული სპეციფიკით და ძალიან წარმატებულად ხორციელდება უნივერსიტეტში. ასევე ექსპერტმა ბათუმის ფილიალის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ ადგილზე შემოწმდა ყველა სასწავლო აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე საშუალებებით - ნოუთბუქებით, მგრძნობიარე დაფებით და უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვისაც არის მოწყობილი ინფრასტრუქტურა, ამიტომ თუ იქნება ასეთი სტუდენტი, უნივერსიტეტი მზად არის მათ მისაღებად.

საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა თქმით 17-ვე რეკომენდაცია იქნა შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მან აღნიშნა, რომ გარკვეული საკითხები, რომელიც წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსხვავებულად იყო დანახული და აღქმული, მოცემული წარმოების პროცესში ყველაფერი სრულყოფილად იქნა დანახული და შეფასებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ის დაინტერესდა სტუდენტების და პერსონალის რაოდენობით როგორც ბათუმის, ისე თბილისის ფილიალში.

დაწესებულების განმარტებით, უნივერსიტეტს მთლიანობაში ჰყავს 3050 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, საიდანაც 500 სწავლობს ბათუმში. ხოლო, აკადემიური პერსონალის რაოდენობა ჯამურად არის 160, მოწვეული პერსონალის რაოდენობა 200, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა დაახლოებით 130-140.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:28
დასრულების დრო: 14:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეორე საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ავტორიზაციის ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ, შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები. მისი თქმით, დაწესებულებას შესასრულებელად განსაზღვრული ჰქონდა 22 რეკომენდაცია. მიუხედავად იმისა რომ რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული, ძალიან ხშირ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა საუკეთესო პრაქტიკები განსაკუთრებით სტრატეგიული განვითარების ნაწილში.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების, როგორც სასწავლო პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალის განხილვას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათი დაკვირვებით, უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სასწავლო შედეგების, როგორც სასწავლო პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალის აღქმისა და მათი გაზომვადობის კუთხით, თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულ ზოგიერთ პერსონალს ნაკლებად ჰქონდა გააზრებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შესაბამისად კარგი იქნება, თუ კი უნივერსიტეტი შეიმუშავებს უფრო გრძელვადიან მეთოდოლოგიას, რათა მაქსიმალურად მოხდეს აკადემიური პერსონალის ჩართვა გაცნობიერების ნაწილში, ხოლო სხვა მხრივ, დოკუმენტაციის დონეზე რეკომენდაცია შეიძლება რომ შესრულებულად ჩაითვალოს.
ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ დაწესებულებაში ძალიან ბევრი რამე არის გაკეთებული, განსაკუთრებით აკადემიურ ნაწილში, რომელთან დაკავშირებითაც წინა შეფასების დროს გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტს აკადემიური და სამეცნიერო კუთხით სჭირდებოდა გაძლიერება და იმ აკადემიური გუნდის წყალობით, რომელსაც ახლა წარმოადგენს უნივერსიტეტი, ექსპერტთა აზრით ბევრი მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლის, ირმა გრძელიძის განმარტებით, ერთწლიანი პროცესი, რომელიც უნივერსიტეტის ავტორიზაციის შემდგომ განახორციელდა ძალიან საინტერესო იყო. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, მთელი რიგი მიმართულებებით როგორიც არის სტრატეგიული განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფა, კვლევა, საერთაშორისო ურთიერთობები და ინსტიტუციური მართვა, წარიმართა მნიშვნელოვანი პროგრესი. მონაცემებზე დაფუძნებული მმართველობის კულტურა და შესაბამისი დეპარტამენტების არსებობა უნივერსიტეტში არის მონიტორინგიც და რეპორტინგიც, ასევე, ინსტიტუციურ ეფექტიანობას უზრუნველყოფს ისიც, რომ პროცესი იყო არა ფრაგმენტული, არამედ სისტემური მიდგომით წარმართული, რაც ძალიან კარგ პერსპექტივებს უქმნის უნივერსიტეტს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ რკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების ნაწილს, განმარტა, რომ დაწესებულება აქტიურად მუშაობს, როგორც პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ისევე ყველა ჩართულ მხარესთან, თუმცა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, ისევე როგორც მთლიანად კულტურა, გრძელვადიანი პროცესია რომელიც მიმდინარეობს და ასევე გაგრძელდება. აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ალავიძემ დაამატა, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია სწავლის შედეგების დაგეგმვის შემუშავების შეფასების და განვითარების დოკუმენტი, ასევე დაწესებულებას აქვს დამხმარე სახელმძღვანელო ლექტორებისთვის და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ინდივიდუალური, თუ საერთო შეხვედრების ფორმატით, ლექტორებთან ატარებს საინფორმაციო და მხარდამჭერ აქტივობებს. მისი თქმით, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, გაზაფხულის პერიოდში, ვიცე პრეზიდენტმა აკადემიურ და კვლევითი მიმართულებით აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარა კიდევ ერთი ტრენინგი ლექტორებთან და ეს გადადგმული ნაბიჯები, აქტიური შეხვედრები ინდივიდუალური თუ საერთო ფორმატით, ემსახურება პროცესის ინტენსიურ მხარდაჭერას. რაც შეეხება ბოლო წლის განმავლობაში გადადგმულ კიდევ დამატებით ნაბიჯს, რეკომენდაციის მიღების შემდეგ, უნივერსიტეტმა შეიმუშავა მიდგომა პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, რომ სტუდენტებს, რომლებიც გადიან სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო შეხვედრებს, ამ ეტაპზე პროგრამის ხელმძღვანელები აცნობენ მათ პროგრამის სწავლის შედეგებს და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ბმას პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. მისი თქმით, ეს შეხვედრები დაწესებულებაში გაგრძელდება. ასევე, დაწესებულება გეგმავს, ინტენსიურ თანამშრომლობას ინდივიდუალური სკოლებისა და პროგრამების ჭრილში, ასევე სწავლის შედეგების შეფასების გააქტიურების მიმართულებით და ლექტორების უფრო აქტიურად ჩართვას ამ პროცესებში. მიმდინარე ეტაპზე დაწესებულება მუშაობს სწავლის შედეგების შეფასების პროცესის გაციფრულებაზე, აიტი მიმართულებით დეპარტამენტთან, დავალება შემუშავებულია და ჯფუფი მუშაობს პროგრამულად ამ დავალების შესასრულებლად. მიმდინარე სემესტრის ბოლოს უკვე ინდივიდუალურ ლექტორებს ექნებათ შესაძლებლობა, რომ, არა თუ ექსელის ფაილით მიიღონ სწავლის შედეგების შეფასების შედეგი, არამედ შიდა პლატფორმაზეც იქნება ამის შესაძლებლობა. სწორედ ამ შიდა პლატფორმაზე მიიღებენ ინდივიდუალურ სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებულ სწავლის შედეგებს და ასევე პროგრამის ხელმძღვანელს ექნება შესაძლებლობა, რომ ნახოს სრულად პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები. სტუდენტების მხრიდან შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ლავიძემ განმარტა, რომ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აფასებენ პროგრამის სწავლის შედეგებს. მისი თქმით, ამ მიმართულებებით განვითარება მუდმივი პროცესია და ინსტიტუცია მიღწეული შედეგებით ცალსახად ხაზს უსვამს, რომ ის ფრაგმენტულად არ ფუნქციონირებს და ინსტიტუციაში დანერგილია მდგრადი მიდგომა გარკვეული მიმართულებებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ გამსახურდიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას, ის დაინტერესდა Power BI პლატფორმით, კერძოდ, როგორ უზრუნველყოფს პლატფორმა ასახოს, მაგალითად კურსდამთავრებულთა დარგობრივი დასაქმების დაბალი მაჩვენებელი ტურიზმის პროგრამაში, კონკრეტული სილაბუსების შინაარსობრივი ცვლილებები და რამდენად არის ინტეგრირებული ამ სისტემაში ლექტორების ყოველსემესტრული თვითშეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ რადგან აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაიდენტიფიცირდა, როგორც საუკეთესო პრაქტიკა, დაწესებულებამ ასევე განსაზღვრა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი. რას გულისხმობს სტრატეგიული გეგმა და როგორია ის შესრულების ინდიკატორები რომელიც სტრატეგიულ გეგმას თან ახლავს, მისი განმარტებით, ყველა სტრატეგიულ მიზანთან არსებობს უშუალო კავშირში. ასევე, როდესაც საუბარია სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე, პროგრამების განვითარებაზე, ხარისხიანი და საერთაშორისოდ აღიარებული პროგრამების უზრუნველყოფაზე, რა თქმა უნდა ეს ინდიკატორები არის ხარისხის მაჩვენებლები, ანუ კონკრეტული ხარისხის ინდიკატორს გააჩნია თავისი სამიზნე ნიშნული სწორედ ამ ინდიკატორთან მიმართებით და დაწესებულება აკვირდება რამდენად არის კონკრეტული

სამიზნე ნიშნული მიღწეული. Power BI პლატფორმასთან დაკავშირებით, ირმა გრძელიძემ საბჭოს წევრებს მოუყვანა ერთ-ერთი ბოლო მაგალითი - როდესაც დაწესებულებაში ჩატარდა სტუდენტების გამოკითხვა, აღნიშნული გამოკითხვების ანალიზი სწორედ Power BI-ში გაკეთდა, რამაც შესაძლებლობა მისცა დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში, ისევე როგორც პროგრამის ფარგლებს გარეთ, პრობლემები ერთმანეთისთვის შეედერებინათ. კერძოდ, სკოლების ერთმანეთთან დადარების, როგორი იყო სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი კონკრეტული სასწავლო კურსის თუ პროგრამის ფარგლებში. ფაქტობრივად, ეს პროგრამული უზრუნველყოფა იმას უზრუნველყოფს, რომ პირველი - შევადაროთ აღნიშნული ინდიკატორები საკუთარ თავს და სამიზნე ნიშნულს, მეორე - შევადაროთ ეს წარსულ სამიზნე ნიშნულს ან წარსულ შესრულებას და მესამე - შედარება და ბენჩმარკინგი გავაკეთოთ, როგორც სკოლებს შორის, ასევე სკოლების მიღმა. ფაქტობრივად, ყველა ასეთი ინდიკატორი ერთად თავს იყრის და ერთად უზრუნველყოფს ყველა ინდიკატორის შესრულების ნაწილს.
საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ ექსპერტთა ჯგუფს თხოვა განემარტათ, რას გულისხმობდნენ სასწავლო კურსებს შორის გადაფარვის პროცესის პრევენციის მიზნით სასწავლო ცხრილის სრულად ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით დაგეგვმასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ განმარტა, რომ სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყო გარკვეული დამთხვევები აუდიტორიებს შორის და რამდენიმეჯერ მოუწიათ თავისუფალი აუდიტორიის ძებნა, რაშიც დრო დაიხარჯა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, დაწესებულებას ეს შემთხვევები შესწავლილი ჰქონდა და ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს თავიანთი შეფასების ანალიზები და იქვე მოახდინეს რეგირება. თუმცა, ექსპერტებმა რჩევის სახით მაინც დატოვეთ მოსაზრება, რომ არსებობდეს ცხრილის ელექტრონული ფორმა, რათა შეძლონ მისი მარტივად ნახვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ალავიძემ განმარტა, რომ ცხრილის ინფორმაციის შეგროვების, დაგეგმვის და გამოქვეყნების ციკლში დაწესებულება იყენებს რამდენიმე სხვადასხვა სისტემას. ამ მომენტისთვის არ არსებობს სისტემებს შორის რამე კავშირი, ეგრეთ წოდებული ინტეგრაცია და ინფორმაციის ერთი სისტემიდან მეორე სისტემაში გადატანა ხდება ხელით. ამის გამო, ხარვეზი დაფიქსირდა სტუდენტურ სისტემაში გადატანისას, ეს იყო მექანიკური შეცდომები, აუდიტორია ვერ აღიქვა სწორად სისტემამ. სტუდენტებმა დაწესებულებას მყისიერად მიმართეს და დაწესებულებამაც რეაგირება მოახდინა. მისი განმარტებით, ინსტიტუციამ უკვე გადადგა ნაბიჯები და სამომავლოდ შეცდომების პრევენციისთვის სისტემაში ააწყო სპეციალური თანაკვეთების რეპორტი და ინფორმაციის გადატანის შემდეგ, სტუდენტებთან ქვეყნდება ამ ინსტრუმენტის ვალიდაციის შემდგომ, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროგრამულად აუდიტორიების აღქმის ნაწილი და გამორიცხული იყოს მსგავსი პრეცენდენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო:14:54
დასრულების დრო: 14:58

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79 -ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მესამე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა თამარ გამსახურდიამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ცენტრში წარდგენილ იქნა სტუდენტის განცხადება, რომლითაც ითხოვდა დახმარებას შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შიდა მობილობის განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნული კორესპონდენცის შესწავლის მიზნით უმაღლესი განათლების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურმა განმცხადებელს მოსთხოვა თანხმობა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან მიმოწერისა და საკითხების დაზუსტების პროცესში მისი ვინაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. მიუხედავად განმცხადებელთან ტელეფონით მრავალჯერ დაკავშირების მცდელობისა, აღნიშნული კორესპონდენციის ჩაბარების შემდეგ იგი ცენტრთან კონტაქტზე აღარ გამოსულა და არც შესაბამისი პოზიცია წარმოუდგენია, რამაც არსებითად შეაფერხა ადმინისტრაციული წარმოების ეფექტიანად მიმდინარეობა. აღნიშნულის მიუხედავად, სამსახურმა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეისწავლა უნივერსიტეტის რეგლამენტი „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის შესახებ“ და

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მობილობის მარეგულირებელი წესები არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. თუმცა, საკითხის სრულყოფილი და დასაბუთებული შეფასებისთვის აუცილებელი იყო კონკრეტულად აღნიშნული პირის საქმის გარემოებების დეტალური შესწავლა, თუმცა აღნიშნული მისი თანხმობის გარეშე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლებელი აღმოჩნდა. ასევე, აღნიშნულთან დაკავშირებით არ მომხდარა დაწესებულების ინფორმირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:02
დასრულების დრო: 15:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ, საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა ვასილ გონაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭომ დაადასტურა აღნიშნული.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს, წარმოედგინა ინფორმაცია განსახილველი საკითხის ირგვლივ.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრში წარდგენილ იქნა განცხადება, რომელიც ეხებოდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დიპლომის გაცემის საკითხს. კორესპონდენციის შესწავლის მიზნით, ცენტრმა ინფორმაცია და უნივერსიტეტის პოზიცია გამოითხოვა უნივერსიტეტიდან. დადგინდა, რომ დაწესებულებამ განმცხადებლის მიმართ უკვე გასცა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ეს დოკუმენტი განცხადების ავტორმა უკვე ჩაიბარა. ეს ფაქტი დადასტურდა ასევე განმცხადებლის მიერ.
შესაბამისად, ცენტრი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მხრიდან ამ შემთხვევაში არ არსებობს ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა, რადგან, სტუდენტის კანონიერი მოთხოვნა გათვალისწინებულია. აღნიშნული მიზეზით, ცენტრი საბჭოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას, შეწყდეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:07
დასრულების დრო: 15:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა მარიამ ბოჭორიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭომ დაადასტურა აღნიშნული.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ საბჭოს განსახილველად აქვს წარმოდგენილი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილი საჩივარი, რომელშიც ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი ამტკიცებს, რომ მისი ნაშრომები გამოყენებულ იქნა ერთ-ერთი წიგნის მომზადებისას და ეს წიგნი დაიბეჭდა. ხოლო არსებობს უნივერსიტეტის პოზიცია, რომლის მიხედვითაც ეს წიგნი უნივერსიტეტში არ დაბეჭდილა, შესაბამისად ინსტიტუცია იხსნის ამასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციის წარდგენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორი არ არის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი, ის არის „ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის“ მეცნიერ-თანამშრომელი. მისი თქმით, როგორც კი ცენტრის წერილი მიიღო უნივერსიტეტმა, დაწესებულებამ დაიწყო დისციპლინური წარმოება რამდენად ჰქონდა ადგილი მათი თანამშრომლის მხრიდან ეთიკური გადაცდომას და ამის საფუძველზე გამოიკვლია აღნიშნული საკითხი. როგორც აღმოჩნდა, ეს მონორაფიები დაბეჭდილა 2019 წელს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტით, „საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების“ სახელწოდებით და ამ პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა ორი წიგნი. ამ პროექტის ხელმძღვანელმა სამსახურებრივი წერილი წამოუდგინა დაწესებულებას, რომლის მიხედვითაც ეს ორი მონოგრაფია დაიბეჭდა, როცა თავად მისი ავტორი ცოცხალი იყო. ასევე, არცერთი ნაშრომი არ დაბედჭდილა ტექნიკურ უნივერსიტეტში, დაწესებულებას არ ჰქონია არც პირდაპირი და არც ირიბი შეხება, აქედან გამომდინარე დაწესებულებამ დისციპლინურ

საკითხის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა პოლიტიკა, რომელსაც ტექნიკური უნივერსიტეტი ატარებს პლაგიატთან და საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ვერ აღმოაჩინა ვერანაირი უფლებების დარღვევის ფაქტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ საჩივრის ავტორი არცერთ დოკუმენტში არ აკონკრეტებს გამოშვების წელს. ამ ყველაფრის შესასწავლად დაწესებულებამ დახარჯა უამრავი დრო, აღმოჩნდა რომ გამოცემულია 2019 წელს, მაშინ როცა ავტორი ცოცხალი იყო და მას შეეძლო პრეტენზიები განეცხადებინა. აქედან გამომდინარე, წიგნი დაწესებულებაში არ დაბეჭდილა. ასევე დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, წარმოდგენილია ამ წიგნების გარეკანები, სადაც მითითებულია ინფორმაცია გამომცემლის შესახებ. ერთი არის კერძო გამომცემლის მიერ დაბეჭდილი, ხოლო მეორე თსუ-ს მიერა დაბეჭდილი. ამიტომ ტექნიკურ უნივერსიტეტს ამ საკითხთან არანაირი შემხებლობა არ აქვს.

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს ეს მონოგრაფიები ნამდვილად არ გამოუცია. მისი განმარტებით, მან მონოგრაფიაზე მუშაობა დაიწყო როცა მონოგრაფიის თანაავტორი საქართველოს ბუნებრივი და მოსაპირკეთებელი ქვების გეოლოგიური პარტის უფროსი იყო. შემდგომ პერიოდში, როდესაც გეოლოგიის დეპარტამენტი გაუქმდა, ისინი გადავიდნენ კიმლში. კიმლში რუსთაველის ფონდით მოხდა ამ პროექტის განახლება. აღნიშნულ პროექტში ის კომპიუტერულ სამუშაოებს აწარმოებდა და მოჰქონდა ფონდებიდან მასალები. ასევე გამომდინარე იქედან, რომ ნაშრომის სხვა თანაავტორები არ ფლობდნენ ინგლისურს, მან თავად იმუშავა წიგნის ინგლისურ ნაწილზე. მისი თქმით, ის მუშაობდა მრავალ ნაშრომზე იმ პარტიებში, რომელსაც გარდაცვლილი ნაშრომის თანაავტორი ხელმძღვანელობდა. კერძოდ, 1980-1991 წლებში გართეს გეოლოგიური პარტია, 1992-1994 წლები კვირაცხოვლის გეოლოგიური პარტია და 1997-2005 წლები საქართველოს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების შემსწავლელი გეოლოგიური პარტია. ასევე მისი შესრულებულია ორიგინალი ნახაზები და მითითებულია, რომ გეოლოგი არის ნაშრომების გარდაცვლილი თანაავტორი, ხოლო ნახაზების შემსრულებელად თვითონ. მისი თქმით, პირველი ანგარიში, რომელიც ეხება 1980-1984 წელს ღაფის გეოლოგიური პარტიას, დამტკიცებული არის მოსკოვში სახელმწიფო კომისიაზე. მას არ ჰქონდა ინფორმაცია გამოცემული იყო თუ არა ეს წიგნი, თუმცა როგორც მან აღნიშნა, მოითხოვა მათი გამოცემის შეწყვეტა. წიგნები იყო სახელწოდებით: „მადნეული მინერალების კვლევის მეთოდებ“ და „მადნეული მინერალების ტექსტურები და სტრუქტურები“. იქედან გამომდინარე, რომ ნაშრომების გარდაცვლილი თანაავტორი ცნობილი, უძლიერესი სტრუქტურული გეოლოგი იყო, მასთან სხვადასხვა პარტიებიდან მიდიოდნენ გეოლოგები კონსულტაციის მისაღებად. ის წერდა გეოლოგიურ დასკვნებს თითოეულ გეოლოგიურ ანგარიშზე, შესაბამისად, ის აკეთებდა მინი ჩანართებს, ნახაზებს და ჭრილებს. ეს ყველაფერი, ნახაზები, მისი შეხედულულებები, დასკვნები, რომელიც თავისთვის ჰქონდა ორიგინალი სახით, ასევე ეს სამი ანგარიში იყო ყველა დოკუმენტი ჩაბარებული ჰქონდა ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელს. საჩივრის ავტორის თქმით, როცა გაიგო რომ წიგნები (მადნეული მინერალების კვლევის მეთოდებზე და მათ სტრუქტურებსა და ტექსტურაზე) გამოსაცემად იყო გამზადებული, მოითხოვა მასალები უკან დაბრუნება, თუმცა უარით გაისტუმრეს. მისი განმარტებით, ამ წიგნების არანაირი ელექტრონული ვერსია არ არის ხელმისაწვდომი, რაც აფერხებს შედარების პროცესს. მას უნდა რომ გაირკვეს, რამდენად არის ეს ნახაზები გამოყენებული წიგნებში, რომლებმაც გამოსაცემად საჭირო ყველა ეტაპი გაიარეს და თუ ეს ასეა, მაშინ ირღვევა მისი საავტორო უფლებები. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ის არის გარდაცვლილი თანაავტორის მთელი სამეცნიერო ნაწილის სამართალმემკვიდრე, რომლის დასამტკიცებლადაც შეუძლია საბჭოს წარმოუდგინოს დოკუმენტი, შესაბამისად მისი თქმით, მას ამ მასალებზე აქვს იურიდიული უფლება და ამ შემთხვევაში ის და გარდაცვლილი ავტორი მოხსენიებული უნდა იყვნენ თანაავტორებად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს კანონი საავტორო უფლებების შესახებ, სადაც დარეგულირებულია რა ითვლება პლაგიატად და რა არა. მისი თქმით, კერძო პიროვნების მიერ შესრულებული სამუშაოში, რომელიც გამოქვეყნებული არ არის, ძნელია მისი დადგენა. მისი აზრით, ეს ტექნიკურ უნივერსიტეტს არ ეხება. ასევე, როდესაც იწერება მონოგრაფია, ტექნიკურ სამუშაოს მხოლოდ ავტორი არ ასრულებს, ის დავალებას იძლევა, იქნება ეს ნახაზების შესრულება, გამოთვლები თუ სხვა და შემდეგ ამ ყველაფერს თავს უყრის და მიმართულებას აძლევს. ამ ყველა ადამიანის სიაში ჩაწერა კი უბრალოდ წარმოუდგენელია, ის უბრალოდ სამადლობელს აკეთებს, თუ ვინ დაეხმარა მას.

საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მონოგრაფიები გაკეთდა კიმლში ხოლო მეორე წიგნები ტექნიკურ უნივერსიტეტში. როგორც უკვე აღნიშნა, მონოგრაფიაში მისი გაკეთებულია ინგლისური თარგმანი. რადგან ნაშრომის გარდაცვლილი ავტორი არ ფლობდა ინგლისურ ენას. ის ითხოვს, რომ ყველა მისი მასალა, რაც წიგნებშია გამოქვეყნებული დაუბრუნონ მას. ასევე, მან აღნიშნა, რომ არსებობს მის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დოკუმენტი, რომელსაც წარმოადგენს. მან დაამატა, რომ როდესაც მოხდა მისი მხრიდან ამ მასალების მოთხოვნა, რამდენიმე დღის შემდეგ კიმლში ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი მას სთავაზობდა 10 ფურცლისგან შემდგარ დოკუმენტს, რომელიც იყო მის მიერ შესრულებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავსი ბრალდებები არ უნდა იყოს ისეთი ინსტიტუციის მიმართ, როგორიც ტექნიკური უნივერსიტეტია. საჩივრის ავტორი საუბრობს მხოლოდ ზეპირად, მტკიცებულებების გარეშე.
დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო გარდაცვლილი ავტორის ნათესავის წერილი:
„ორი წლის წინ ბიძაჩემის გარდაცვალების შემდეგ, მისმა დებმა გადაწყვიტეს, რომ ყველაფერი რაც იყო დაკავშირებული ბიძაჩემის პროფესიასთან და ინახებოდა ბიძაჩემის საწერ მაგიდასა და კარადაში, კერძოდ ბიძაჩემის კუთვნილი და მისი ხელით შესრულებული უამრავი მასალა - რუკები, ნახაზები, ჩანაწერები, ასევე გეოლოგიური ლიტერატურა მიეცათ გეოლოგიის კათედრისა და კომისიისათვის, ვისაც ეს ნამდვილად გამოადგებოდა. ამიტომ დედამ, დაურეკა ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელს, შეატყობინა მისი და ეთერ მაჭავარიანის გადაწყვეტილება და სთხოვა აღნიშნული მასალების წაღების ორგანიზება. როდესაც ბიძაჩემის თანამშრომლები მოვიდნენ ოთარის სახლში, იქ ვიყავით ოთარის დები და მე, ყველაფერი ჩავალაგეთ ერთად და გავატანეთ მათ. ასეთი იყო ოთარის დების და ამავდროულად კანონიერი მემკვიდრეების გადაწყეტილება. თან ოთარის სიცოცხლეში არავისთვის არ გადაუცია მისი რომელიმე ნაშრომის განკარგვის რამე უფლება.“
საჩივრის ავტორის განმარტებით, მემკვიდრეობა მიიღო 2022 წლის თებერვალში, ეს გადატანილი იქნა ივნისი-ივლისის თვეში და მის გარეშე იქედან არცერთი მასალა არ უნდა გასულიყო, რადგან ეს არის კანონდარღვევა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თამაზ ურთმელიძემ, კითხვით მიმართა მომჩივანს, ჰქონდა თუ არა მას მემკვიდრეობა მიღებული და თუ ჰქონდა ამის მტკიცებულება წარმოდგენილი საბჭოზე ან დაწესებულებასთან?
მომჩივანის, ნანა აზარიაშვილის განმარტებით, მას ჰქონდა მიღებული მემკვიდრეობა და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგენდა აღნიშნულ დოკუმენტს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე ჯაგოდნიშვილმა განმარტა, რომ ცენტრის მიერ გამოგზავნილი წერილის პასუხად უნივერსიტეტიდან გაიგზავნა ყველა ის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რაც პირდაპირ თუ ირიბად ეხებოდა აღნიშნულ საკითხს. მაგალითად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესი 2024 წლის განახლებული რედაქციის თანახმად, ეთიკის კოდექსის სრული რედაქციაა, ასევე 2024 წლის განახლებული რედაქციით და ანტიპლაგიატის საუნივერსიტეტო წესი აკადემიურ და წარმოებულ საბჭოებზე განხილული, დამტკიცებული თავისი ინვოისებით, რომელიც არის ლიცენზირებული და დადასტურებული.

ვასილ გონაშვილმა კითხვით მიმართა მომჩივან ნანა აზარიაშვილს. მას აინტერესებდა ვის მიმართა ქალბატონმა ნანამ გამოცემის შეჩერებასთან დაკავშირებით?
ნანა აზარიაშვილმა განმარტა, რომ დაახლოებით ორი წლის წინ მიმართა სტუ-ს გამომცემლობას.
ვასილ გონაშვილმა კითხვით მიმართა ნანა აზარიაშვილს. მას აინტერესებდა ქალბატონი ნანას აზრით ვინ დაარღვია მისი საავტორო უფლება; კონკრეტულად რომელიმე პიროვნებამ თუ ინსტიტუციამ, რადგან აქ გამომცემელი არაფერ შუაში არ არის.
ნანა აზარიაშვილმა განმარტა, რომ მისი უფლებები დაარღვია კონკრეტულმა პიროვნებამ, რომელმაც მისი შრომა, კუთვნილი მასალები და ნახაზები მიითვისა და განკარგავს თავად.
ნინო ჩინჩალაძეს აინტერესება თუ რატომ არ მიმართა ქალბატონმა ნანამ სასამართლოს?
ნანა აზარიაშვილის განმარტებით, მას სურდა ამ საქმის ცივილიზებული და კოლეგიური გზით მოგვარება და სწორედ ამიტომ მიმართა ცენტრს. ამას ასევე დაემატა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მისი განმარტებით, თუ ეს საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება, მას სხვა გამოსავალი არ ექნება, გარდა იმისა, რომ მიმართოს სასამართლოს.
დაწესებულების წარმომადგენლის, თამაზ ურთმელიძის განმარტებით, იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ადმინისტრაციულ ორგანოს თუ სასამარლოს მიმართავს ქალბატონი ნანა, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რადგან წიგნების ფიზიკური შედარება პლაგიატზე ვერ მოხდება.
ნანა აზარიაშვილის თქმით, ის აანალიზებს ამ ყველაფერს, თუმცა საქმე ისაა, რომ ორიგინალი ნახაზები, რომელიც არის მოსკოვში დამტკიცებული, ვაჟა გელეიშვილს აქვს მითვისებული და არ უბრუნებს მას ქალბატონ ნანას. ასევე, როდესაც გეოლოგიის დეპარტამენტი დაიხურა, ფონდიდან ეს მასალები გაქრა.
თამაზ ურთმელიძეს აინტერესებდა ქალბატონ ნანას თუ მიუწვდებოდა ხელი ამ მასალებზე და მემკვიდრეც თავად გახლდათ, მაშინ ვაჟა გელეიშვილის ხელში რატომ აღმოჩნდა ისინი?
სერგო ჭელიძის განმარტებით, რამდენადაც საქმეს განიხილავდა ავტორიზაციის საბჭო, მას აინტერესებდა ქალბატონი ნანას აზრით ავტორიზაციის რომელი სტანდარტი დაირღვა, რათა საბჭოს შეძლებოდა შესაბამისი მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება. მისი აზრით, ქალბატონი ნანა საავტორო უფლებების დარღვევასა და მემკვიდრეობის საკითხებზე დავობდა.
ნანა აზარიაშვილის განმარტებით მემკვიდრეობის საკითხი გარკვეულია და მას ამის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტიც აქვს, რომლის წარმოდგენაც შეუძლია. რაც შეეხება ამ საავტორო უფლებების საკითხს, მისი სურვილია, კომისიამ შეისწავლოს ის მასალები, რაც წიგნშია გამოყენებული და გაარკვიოს ნამდვილად არის თუ არა ეს ის მასალები, რომლებიც ღართისა და კვირაცხოვლის ანგარიშებში იყო წარმოდგენილი.
მიშა ჯანიკაშვილის განმარტებით, მნიშვნელოვანი არ არის საიდან ან როგორ წამოიღეს მასალები, ან ვინ თარგმნა ისინი. როდესაც საქმე ეხება საავტორო უფლების დარღვევას, კანონი განსაზღვრავს დარღვევას იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებული შრომა არის უნებართვოდ გამოყენებული და არ არის მითითებული. თუ გამოყენებული შრომა გამოქვეყნებული არ არის, ხოლო ქალბატონი ნანა ამ პერიოდში იღებდა ხელფასს, მაშინ ის ასრულებდა თავის სამუშაოს. თუ გამოქვეყნებული არ იყო და ქალბატონი ნანა ამბობს რომ ეს მასალები მისია, მაშინ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება და მიმართოს სასამართლოს, რადგან ეს საკითხი საბჭოს კომპეტენციას სცდება.
ნანა აზარიაშვილის განმარტებით, საქართველოს მოსაპირკეთებელი ქვების მონოგრაფია არის გრანტით გაკეთებული და სამტომეულად გამოცემული; სამივე ტომი არის რუსთაველის ფონდში დაცული.
ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშვილმა განმარტა, რომ მიზანშეწონილი იყო, აღნიშნული საკითხის განხილვა საბჭოს და დამსწრე პირებს უშუალოდ დაეკავშირებინთ ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან, ან დარღვევასთან, და ამ ჭრილში შესაძლებელი იყო გაეცა შესაბამისი პასუხი დაწესებულებას.

ივანე ჯაგოდნიშვილმა განმარტა, რომ ინსტიტუციას მიაჩნია, რომ ავტორიზაციის არცერთი სტანდარტი ამ საქმესთან მიმართებით არ აქვს დარღვეული. ამის დასტურად დაწესებულებას აქვს ყველა ის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი და პრაქტიკა დოკუმენტების სახით წარმოდგენილი ცენტრში რაც ამ საკითხებს და ამ საკითხების ირგვლივ ნებისმიერ პრობლემატიკას აგვარებს კანონმდებლობის შესაბამისად. იგი გულისხმობდა აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის მოთხოვნებს.
ნანა აზარიაშვილმა დაწესებულებას მიმართა თუ შეიძლებოდა მას ის მასალები მიეღო რაც დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი?
მიშა ჯანიკაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული არ არის შესაძლებელი, რადგან წარმოდგენილი მასალების ელექტორონული ვერსია არ არსებობს, შესაბამისად, ვერ მოხდება მათი შედარება.
ნანა აზარიაშვილის განმარტებით მონოგრაფია, რომელიც 2019 წელს გამოიცა არ ეხება ტექნიკურ უნივერსიტეტს. მათ ეხება მხოლოდ ორი სახელმძღვანელო, კერძოდ „მადნეული მინერალების კვლევის მეთოდები“ და „მადნეული მინერალების ტექსტურები და სტრუქტურები“, რომელშიც, ქალბატონი ნანას ეჭვით, მისი მასალებია გამოყენებული და რომელსაც ვაჟა გელიშვილი პრინციპულად არ აბრუნებს. ქალბატონი ნანას განმარტებით გეოლოგიას აქვს თავისი პრინციპი, გეოლოგიაში გამოქვეყნებული ნაწილი არის ანგარიში, ამ ანგარიშს ეყრდნობა ყველაფერი.
მიშა ჯანიკაშვილის განმარტებით 1980-1984 წელს გამოქვეყნებულ მასალებს საავტორო უფლებების ვადა გასული აქვს.
ნანა აზარიაშვილის თქმით, გეოლოგიურ ანგარიშებს ვადა არ გასდის.
ივანე ჯაგოდნიშვილის განმარტებით, ანტიპლაგიატის ლიცენზირებული პროგრამა, რომლითაც სარგებლობს ტექნიკური უნივერსიტეტი, არის სტრაიტ პლაგიარიზმი და წელიწადში დაწესებულება დაახლოებით 8000 ევროს ექვივალენტს იხდის იმაში, რომ ლიცენზია ყოველ წელს განაახლოს და პროგრამა ყოველ წელს იყოს რელევანტური. ასეთი პროგრამების არამარტო ამ პლატფორმის, სხვა პლატფორმების პრინციპი იმაში მდგომარეობს რომ ის მსგავსების კოეფიციენტსა და ტექსტების დამთხვევას ძალიან მარტივი პრინციპით ახდენს, თუ საინფორმაციო სისტემაში, მონაცემთა ბაზაში ნებისმიერი ტექსტი გაციფრულებული ფორმით არის დაფიქსირებული. რადგან 1980-1984 წლების პუბლიკაციები არ არის გაციფრულებული, პლატფორმა და აღნიშნული პროგრამა ასეთ შემთხვევაში უძლურია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:46
დასრულების დრო: 15:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს

ტექნიკურ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეექვსე საკითხი: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა სერგო ჭელიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა ვასილ გონაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს აღნიშნული.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს საბჭოსთვის გაეცნო შუამდგომლობის შინაარსი.

ცენტრის წარმომადგენლის თქმით, ცენტრში შემოვიდა უცხოელი მოქალაქის განცხადება, რომელიც ეხებოდა გარკვეული პირისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას, რადგან აღნიშნული აბიტურიენტი ვერ ჩაირიცხა თავის დროზე დაწესებულებაში და შემდეგ ირანში გამართული საომარი მოქმედებების გამო, ვეღარ ჩამოვიდა სასწავლებლად. ეს თანხა მოიცავდა ვიზისა და სხვა გადახდილ ხარჯებს. რადგან ის პიროვნება, რომელიც განცხადებაში იყო ნახსენები, ვისაც აღნიშნულმა მოქალაქემ გადაუხადა თანხა, არ წარმოადგენდა დაწესებულების წარმომადგენელს, ცენტრმა აღნიშნული კორესპონდენცია გადაუგზავნა საქართველოს პროკურატურას, რათა გამოეკვლია, იკვეთებოდა თუ არა რაიმე თაღლითობის ფაქტი, თუმცა საქართველოს კროკურატურისგან შესაბამის დროში დაბრუნებული წერილით გაირკვა, რომ სისხლისსამართლებლივი დანაშაულის ფაქტი ვერ გამოვლინდა ამ საკითხთან მიმართებით, რადგან აღნიშნული პიროვნება არ წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, არის კერძო პირი. შესაბამისად, ცენტრს არ აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება და კომპეტენცია რომ მოიძიოს ის პირი და მოითხოვოს მისგან თანხის უკან დაბრუნება. აღნიშნული საკითხი ასევე სცდება ავტორიზაციის სტანდარტებსაც. შესაბამისად, ცენტრი აყენებს შუამდგომლობას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შეწყდეს აღნიშნული წარმოება. მოქალაქე არის ინფორმირებული, რომ ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში ჩატარდა წარმოება,

მისთვის ცნობილია ვის მიმართა ცენტრმა და ასევე პროკურატურის შემდგომი პასუხიც გაზიარებულია. ასევე ცნობილია, რომ ცენტრს არ აქვს ბერკეტი, აღნიშუნულ მოქალაქეს აიძულოს, აბიტურიენტს დაუბრუნოს მოთხოვნილი თანხა.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვიცე რექტორის რუსუდან ჩიქოვანის განმარტებით, სხდომას ესწრებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უდროსი დავით ბოსტოღანაშვილი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე ლალი ჩაგელიშვილი, განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ქეთევან აფთარაშვილი და ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ელენე ზურაბიშვილი. სწორედ ამ ფაკულტეტის სტუდენტის საჩივარი გახლდათ წარმოდგენილი საბჭოს სხდომაზე. დაწესებულებას ცენტრთანაც ჰქონდა კომუნიკაცია და გარკვეული საკითხები გამოითხოვეს მათგან. დაწესებულების პოზიციას წარმოადგენდა ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი ელენე ზურაბიშვილი, რომელსაც სტუდენტთან არაერთგზის ჰქონდა კომუნიკაცია.
ელენე ზურაბიშვილის განმარტებით, სტუდენტი საჩივარში აცხადებდა, რომ სასწავლო პროცესის დაწყების შეფერხებაზე აკეთებდა აქცენტს, თუმცა რეალურად სასწავლო პროცესი დაიწყო ჩვეულებრივ რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროცესის ვადების შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის აღნიშნული სტუდენტისთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებსაიტზე, რომელიც სასწავლო წლების შესაბამისად ახლდება. აღნიშნული სტუდენტი საქართველოში ჩამოვიდა დაგვიანებით, მოაწერა ხელშეკრულებას ხელი, უნივერსიტეტის მხრიდან, რა თქმა უნდა, მიეწოდა ყველა ინფორმაცია უნივერსიტეტის წესების შესახებ, როგორც პირველ დღეს ხდება ხოლმე სტუდენტისთვის გაცნობა ყველანაირი პროცედურების. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ, სტუდენტი გაუჩინარდა და დაწესებულებასთან აღარ ჰქონია კომუნიკაცია. ელენეს ზურაბიშვილის თქმით, როგორც 2-3 კვირის შემდეგ გაირკვა, მან ქვეყანა დატოვა დაწესებულების საქმის კურსში ჩაყენების გარეშე. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ დაწესებულების მარეგულირებელი წესის შესაბამისად, სტუდენტი ვალდებულია, როდესაც იცვლის საცხოვრებელ მისამართს ან ტოვებს ქვეყანას, აცნობოს ინსტიტუციას. თუმცა სტუდენტმა ეს არ გააკეთა და ქვეყანა დატოვა დაწესებულების ინფორმირების გარეშე და დაიწყო თანხის დაბრუნების მოთხონა. იმისთვის, რომ მოხდეს თანხის დაბრუნება, სტუდენტს სტატუსი უნდა ჰქონდეს შეწყვეტილი. აღნიშნულ სტუდენტს სტატუსი არ შეუწყვეტია, უფრო მეტიც, ამ თანხის დაბრუნების მოთხოვნიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, კიდევ მიმართა მან დაწესებულებას, რომ მას სურდა ქვეყანაში შემოსვლა და ითხოვა ახალი სავიზო დოკუმენტების გაცემა, რაზეც დაწესებულებამ მიაწოდა ინფორმაცია, რომ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული ქონდა. სავიზო დოკუმენტების მოსაწესრიგებლად, სტუდენტისთვის პირველ რიგში უნდა მომხდარიყო სტატუსის აღდგენა. ქალბატონი ელენეს თქმით, დაწესებულების მხრიდან სტუდენტს გადაეგზავნა განცხადების ფორმაც, რომელიც უნდა შეევსო და ხელმოწერილი დაებრუნებინა, რის შემდეგაც იქნებოდა შესაძლებელი მისთვის ახალი სავიზო დუკუმენტების გაცემა. სტუდენტმა სტატუსი არ აღიდგინა და შემდეგ, როგორც დაწესებულებამ შეიტყო, მან განცხადებით მიმართა ცენტრს. ამ მომენტისთვის სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს, მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური შენახულია მის ანგარიშზე, თუ მას აქვს სურვილი სწავლის გაგრძელების, შეუძლია აღიდგინოს სტატუსი და გამოიყენოს აღნიშნული სწავლის საფასური. თუმცა, ზემოხსენებული დოკუმენტაციის გადაგზავნის შემდეგ სტუდენტი დაწესებულებაში აღარ გამოჩენილა.
ცენტრის წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ სტუდენტს სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით არ მიუმართავს ცენტრისთვის განცხადებით, იგი მხოლოდ გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას ითხოვდა.
ელენე ზურაბიშვილის განმარტებით, სტუდენტს სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით დაწესებულებისთვისაც არ მოუმართავს, მას სურდა ქვეყანაში ხელახლა შემოსვლა და სავიზო დოკუმენტების ხელახლა გაცემა, რაზეც დაწესებულებისგან მიეცა ინფორმაცია და

ინსტრუქცია, რომ მისთვის ხელახალი სავიზო დოკუმენტების გასაგზავნად, მას ჯერ სტატუსი უნდა აღედგინა და ამისთვის შესაბამისი განცხადების ფორმაც გაეგზავნა, თუმცა მას სტატუსის აღსადგენად აღარ მიუმართავს დაწესებულებისთვის და არც ის განცხადება დაუბრუნებია შევსებული და ხელმოწერილი, ამიტომ ამ მდგომარეობით მას კვლავ შეჩერებული აქვს სტატუსი.
ვასილ გონაშვილს აინტერესებდა, სტუდენტი მხოლოდ სწავლის გადასახადს ითხოვდა თუ სხვა თანხებსაც? მას ასევე აინტერესებდა იმ მიზეზით თუ გააკეთა ეს მოთხოვნა, რომ საზღვრის გადმოკვეთა ვერ შეძლო?
ელენე ზურაბიშვილმა განმარტა, რომ სტუდენტი პირველად შემოვიდა ქვეყანაში და მეორედ, მისი ინფორმაციით აღარ უცდია, ის მხოლოდ თანხის დაბრუნებას ითხოვდა. თავიდან მან დაწესებულებისგან გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ შემდეგ ეს მოთხოვნა შეწყვიტა და მოითხოვა სავიზო დოკუმენტების ხელახლა გაცემა, რადგან ქვეყანაში თავიდან სურდა შემოსვლა. ამის შემდეგ მას კონტაქტი აღარ ჰქონია დაწესებულებასთან.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტი ჩამოვიდა სხვა პერიოდში, რის გამოც ვერ დაიწყო სწავლა. გარდა სწავლის საფასურისა, ასევე დამატებითი ხარჯები ჰქონდა გაწეული და იგი სრულად ითხოვდა თანხის ანაზღაურებას. ცენტრისგან მას გაეწია შესაბამისი კონსულტაცია და მიწოდებული აქვს ასევე ინფორმაცია, როგორ უნდა მოიქცეს რომ უნივერსიტეტმა დაუბრუნოს სწავლის საფასური, რადგან სტატუსი აქვს შეჩერებული, როგორც ქალბატონმა ელენემ ახსენა. სტუდენტს შეუძლია ეს თანხა სტატუსის აღდგენის დროს გამოიყენოს და ცენტრის ინფორმაციით, მოთხოვნის შემთხვევაში დაბრუნების უფლებაც აქვს. ამ პროცედურაზე მას ინფორმაცია აქვს, თუმცა შემდგომ უკვე კონტაქტზე აღარ გამოსულა. მეტი განცხადება ან დამაზუსტებელი საკითხი ცენტრთან აღარ წარმოუდგენია. სტუდენტს აქვს ის ინფორმაციაც, რომ კერძო პირთან გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე ან დაბრუნებაზე ცენტრი ვერანაირ დახმარებას ვერ გაუწევს.
საჭოს წევრს, ნინო ჩინჩალაძეს აინტერესებდა სტუდენტის ამჟამინდელი ადგილმდებარეობა.
ცენტრის წარმომადგენლის, ლალის ოდიშვილის განმარტებით სტუდენტი საქართველოში არ არის, ის ცენტრს ეკონტაქტებოდა მხოლოდ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
ნინო ჩინჩალაძეს აინტერესებდა, თუ როგორ ჩაირიცხა სტუდენტი დაწესებულებაში, დაუკავშირდა თუ არა სტუდენტი დაწესებულებას შუამავლის/აგენტის მეშვეობით.
ცენტრის წარმომადგენლის, ლალი ოდიშვილის განმარტებით, სტუდენტი თავიდან ჩაირიცხა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში და ჩამოვიდა საქართველოში, თუმცა როგორც გაირკვა ჩამოვიდა ისეთ პერიოდში, როდესაც სასწავლო პროცესი დასრულებული იყო და ზაფხულის პერიოდის საქართველოში გატარება მოუწია, თუმცა სექტემბერში საქართველო დატოვა და ვეღარ გააგრძელა სასწავლო პროცესი.
შეიძლება სწავლის პერიოდზე აგენტმა მიაწოდა მას ინფორმაცია, რადგან უნივერსიტეტს საიტზე უდევს სასწავლო კალენდარი და ნაკლებად სავარაუდოა, ვინმეს ეთქვა, რომ აპრილის ბოლოს იგი უმაღლესში სწავლის დაწყებას შეძლებდა. მითუმეტეს, ის თავადვე აღნიშნავს, რომ ჩამოვიდა გაზაფხულის სემესტრის დასასრულს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:06
დასრულების დრო: 16:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ განაცხადზე წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 88 - ე მუხლის მე - 8 პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებიმ დაწესებულებას საბჭოს მხრიდან მიეცა ზოგადი რეკომენდაცია, პროცედურული გაუბებრობების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებას ღია, გამჭვირვალე და ეფექტიანი კომუნიკაცია ჰქონდეს სტუდენტებთან, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტებთან, რაღა მათ მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ჩარიცხვის, სწავლის დაწყების პირობების, თანხის დაბრუნების შესაძლებლობების, შესაბამისი პროცედურების და ვადების შესახებ; რამდენადაც აღნიშნული უთანხმოება შეიძლება გახდეს სამოქალაქო დავის საგანი, უნივერსიტეტსა და კონკრეტულ სტუდენტს შორის და თავიდან უნდა იყოს არიდებული შესაძლო გაუგებრობები და უნდა მოხდეს დავების პრევენცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:16 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

ელექტრონული
მფლობელსაუღიარ
ელექტრონული